შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

როგორ მოვემზადოთ

პედაგოგთა საგნობრივი გამოცდისათვის

მუსიკა

თბილისი 2016

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

მუსიკის ჯგუფი

საგამოცდო კრებული წარმოადგენს „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ საკუთრებას და დაცულია საქართველოს კანონით - „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“. „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ ნებართვის გარეშე დაუშვებელია ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანა, მისი რეპროდუქცია, თარგმნა და სხვა საშუალებებით (როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული ფორმით) გავრცელება, აგრეთვე იკრძალება საგამოცდო კრებულის გამოყენება კომერციული მიზნებისათვის.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი----------4

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი----------5

საგამოცდო პროგრამის პროექტი---------- 12

ტესტის სტრუქტურა და ქულათა განაწილება----------24

ტესტური დავალების ტიპები, შეფასების სქემები და პრინციპები,

განმარტებები და რეკომენდაციები:

დახურული კითხვები (არჩევითბოლოიანი კითხვები) ----------27

პრაქტიკული დავალებები----------30

შესაბამისობის დადგენა ----------36

დავალება პასუხით ,,ჭეშმარიტია - მცდარია”----------37

ქრონოლოგიის განსაზღვრა ----------40

ღიაკითხვა ----------41

ზოგადი რეკომენდაციები ტესტისათვის----------46

შესავალი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, 2016 წელს პირველად ჩატარდება მუსიკის მასწავლებელთა საგნობრივი გამოცდა. წინამდებარე კრებულის დანიშნულებაა, საშუალო და საბაზო საფეხურის სკოლის პედაგოგებს გააცნოს მუსიკის გამოცდის მოთხოვნები, საგამოცდო პროგრამა, ტესტის სტრუქტურა, ქულათა განაწილება დავალებების მიხედვით და ტესტურ დავალებათა ნიმუშები.

გამოცდების ეროვნული ცენტრის მუსიკის ჯგუფმა შექმნა ტესტურ დავალებათა ბაზა, რომლის დიდმა ნაწილმა შემოწმება გაიარა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. აპრობაციის შედეგების ანალიზის საფუძველზე შეირჩა დავალებების ნიმუშები კრებულისათვის. კრებულში შეტანილია, აგრეთვე, ტესტურ დავალებათა შეფასების სქემები და ცალკეულ დავალებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები.

საგამოცდო დავალებების სირთულის დონე და მოთხოვნები შესაბამისობაშია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებულ ეროვნული სასწავლო გეგმებისა და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებთან.

ყურადღებით გაეცანით კრებულის მასალას, მათ შორის, თითოეული დავალების აღწერილობას, რათა დაიცვათ დავალების შესრულების ტექნიკური და შინაარსობრივი მოთხოვნები.

ვიმედოვნებთ, საგამოცდო კრებული დაგეხმარებათ, საფუძვლიანად მოემზადოთ მუსიკის საგნის გამოცდისათვის.

გისურვებთ წარმატებას!

მასწავლებლის

პროფესიული სტანდარტი

მუსიკა

(საბაზო და საშუალო საფეხური)

2012 წელი

მუხლი **70.** დაწყებითი**,** საშუალო და საბაზო საფეხურის მუსიკის მასწავლებლის პროფესიული უნარები

ა) მიმართულება: პრაქტიკული უნარ-ჩვევები
ა.ა) სიმღერა (მუსიკალური სახეების განსახიერება ნაწარმოების შესრულების დროს; გამართული სოლფეჯირების უნარები სოლო, ვოკალური და საგუნდო პარტიების შესრულების და სწავლების უნარები);
ა.ბ) საკრავის/საკრავების ფლობა იმ ფარგლებში, რომელიც საშუალებას მისცემს შეასრულოს საგნის პროგრამით გათვალისწინებული მუსიკალური ნაწარმოები;
ანსამბლური მუსიცირების ფორმების ფლობა;
ა.გ) გუნდის, ანსამბლის ხელმძღვანელობა, თვლაზე დამყარებული დირიჟორობა (რეპერტუარის შერჩევა, სწავლება, შესრულება);
ა.დ) სასკოლო დადგმების ორგანიზება (მუსიკალური რეჟისურის საფუძვლების ცოდნა; მუსიკალური ღონისძიებების, მათ შორის, კონცერტი/წარმოდგენა, მუსიკალური სპექტაკლი, ლექცია-კონცერტი, ვიქტორინა, მეჯლისის ორგანიზება და მხატვრული გაფორმება ჩანაწერით, ცოცხალი შესრულებით);
ა.ე) თემატური ღონისძიებების გამართვა (სასკოლო სპექტაკლების მუსიკალური გაფორმება, სანოტო ალბომის მომზადება; სკოლაში ცნობილი კომპოზიტორის, მომღერლის, შემსრულებლის მიწვევა, შეხვედრის ორგანიზება და წარმართვა; ტექსტის შერჩევა მელოდიისათვის; მუსიკის შერჩევა ტექსტისათვის);
ა.ვ) მუსიკალური ენის ელემენტების გამოყენება (სანოტო სისტემის ახსნის, სიმღერის, დაკვრის, მუსიკალური ნაწარმოების მოსმენისა და ანალიზის, მუსიკის ჩაწერის, მელოდიის ჰარმონიზაციის დროს);
ა.ზ) სპეციალური მუსიკალური ლიტერატურის გამოყენება;
ა.თ) საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ინტერნეტი, მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამები) და აპარატურის (მაგნიტოფონი, დიქტოფონი, ფოტო, ვიდეო, ტელე-აპარატურა, კომპიუტერი), გამოყენება: რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოების, მუსიკალური კომპოზიციის შესრულების დროს; სხვადასხვა სახის ჩანაწერის დემონსტრაციისთვის, მიღწეული შემოქმედებითი შედეგის აუდიო, ვიდეო და ფოტოფაილებით დასაფიქსირებლად, რესურსების მოსაძიებლად.

ბ) მიმართულება: კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია
ბ.ა) სხვადასხვა ჟანრის მუსიკის ქრესტომათიული ნიმუშების ამოცნობა, ამ ნაწარმოებების მუსიკალურ-თემატური მასალის გადმოცემა სხვადასხვა ხერხით(სიმღერა, დაკვრა) და მათი ზოგადი დახასიათება (სახელწოდება, ავტორი, ეპოქა, ჟანრი, სტილი);
ბ.ბ) მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების სმენითი ანალიზი, დახასიათება (ეპოქა, ჟანრი, სტილი, ფორმა, გამომსახველობითი საშუალებები);
ბ.გ) მუსიკალური ნაწარმოების შესრულების შეფასება; სხვადასხვა ინტერპრეტაციის
შედარება;
ბ.დ) თანამედროვე ქართული მუსიკალურ-კულტურული ცხოვრების მიმოხილვა;
ბ.ე) ადგილობრივი კულტურული ცხოვრების მიმოხილვა;
ბ.ვ) მუსიკალური ტერმინოლოგიის გამოყენება საუბრის დროს და საჭიროების შემთხვევაში განმარტება;
ბ.ზ) ინფორმაციის (მუსიკალურ-დიდაქტიკური მასალები, რეპერტუარი, ლიტერატურა) მოძიება სხვადასხვა წყაროებიდან თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;

გ) მიმართულება: მუსიკალური ნაწარმოების აღქმა კონტექსტში
გ.ა) ქართული და მსოფლიო მუსიკალური კულტურის წარმომადგენლების, კომპოზიტორებისა და შემსრულებლების, შესახებ მსჯელობა;
გ.ბ) სხვადასხვა ეპოქისა და ჟანრის მუსიკალურ ნაწარმოებებს (ქართული და მსოფლიო მუსიკალური კულტურის ცნობილი ნიმუშები) შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებებზე მსჯელობა და კულტურულ - ისტორიულ კონტექსტთან დაკავშირება;
გ.გ) მუსიკალური მიმდინარეობები (მაგ., ბაროკო, კლასიციზმი, ვენის კლასიკური სკოლა, იმპრესიონიზმი და სხვ.);
გ.დ) ერთი და იმავე ეპოქის ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნაწარმოებებს შორის პარალელის გავლება.

მუხლი 71. დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მუსიკის მასწავლებლის პროფესიული ცოდნა

ა) სასიმღერო რეპერტუარი
ა.ა) ერთხმიანი, ორხმიანი, სამხმიანი სიმღერები;

ა.ბ) ხალხური, კლასიკური, თანამედროვე მუსიკის რეპერტუარი.

ბ) მუსიკის თეორია

ბ.ა) მუსიკალური ანბანი (სანოტო სისტემა, მუსიკალური დამწერლობა, მუსიკალური ენის ელემენტები, ძირითადი მუსიკალური ტერმინები, დინამიური ნიუანსები, შესრულების ხერხები და ა.შ.);

ბ.ბ) ჰარმონიის საკითხები (მაჟორულ-მინორული სისტემა, ძირითადი ფუნქციები, მელოდიის ჰარმონიზაცია);

ბ.გ) მუსიკალური ნაწარმოებების ფორმის საკითხები (მარტივი ფორმები, რონდო, კუპლეტური, ვარიაციული, სონატური ალეგრო.);

ბ.დ) საკრავთმცოდნეობის საკითხები (ბგერის მიღება სხვადასხვა საკრავზე, სპეციფიკური საშემსრულებლო ხერხები (ფლაჟოლეტი, პიციკატო და სხვ.), საორკესტრო ჯგუფები.

სხვადასხვა ეპოქის (ბაროკო, კლასიციზმი, რომანტიზმი, იმპრესიონიზმი და სხვ.) სტილური მიმართულებები;

ბ.ე) მუსიკალური ხელოვნების ძირითადი ჟანრები, მათი წარმოშობა და განვითარების გზა;

ბ.ვ) მუსიკალური ხელოვნების გამოჩენილი წარმომადგენლები (შემოქმედებითი პორტრეტები), ცნობილი მუსიკალური ნაწარმოებები - შექმნის ისტორია, ლიტერატურული პირველწყარო, ისტორიული კონტექსტი; მუსიკის როლი ხელოვნების სხვა დარგებში (თეატრი, კინო).

გ) ქართული მუსიკა

გ.ა) ქართული მუსიკის ისტორია, მისი ძირითადი მიმართულებები (ხალხური მუსიკა, პროფესიული მუსიკა), ჟანრები (მაგ. საოპერო, სიმფონიური, საგუნდო მუსიკა, ქალაქური სიმღერა, საესტრადო მუსიკა და სხვა), წარმომადგენლები, ნაწარმოებები; ქართული ხალხური და პროფესიული მუსიკის დამახასიათებელი თავისებურებები; პარალელები და ქართული ხელოვნების სხვა დარგებთან.

დ) საშემსრულებლო ხელოვნება

დ.ა) მუსიკალური ნაწარმოების შესრულების თავისებურებები;

დ.ბ) მამაკაცთა და ქალთა ხმები;

დ.გ) მუსიკალური საკრავები (ხალხური, პროფესიული);

დ.დ) მუსიკალური კოლექტივის სახეები (გუნდი, ანსამბლი, ორკესტრი, საოპერო, საბალეტო დასი);

დ.ე) მსოფლიოს გამოჩენილი მუსიკოს-შემსრულებლები, მუსიკალური, მუსიკალურ-თეატრალური კოლექტივები;
დ.ვ) ქართული საშემსრულებლო ხელოვნება (სამგალობლო სკოლები, მომღერალი ოჯახები, საშემსრულებლო კოლექტივები, საშემსრულებლო სკოლები, ცნობილი მუსიკოს-შემსრულებლები).

ე) მუსიკოსის პროფესია

ე.ა) კომპოზიტორი, დირიჟორი, ლოტბარი, რეგენტი, მუსიკოს-შემსრულებელი, მუსიკისმცოდნე, პედაგოგი, მუსიკასთან დაკავშირებული სხვა პროფესიები.

მუხლი 70. სწავლების მეთოდები

ა) სასწავლო პროცესის დაგეგმვა:

ა.ა) სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების განსაზღვრა და სასწავლო პროცესის დაგეგმვა; დასახული მიზნების შესაბამისი, სხვადასხვა ტიპისა და სირთულის მქონე დავალებების და სავარჯიშოების შერჩევა ან შედგენა, რათა მოსწავლეები ეტაპობრივად მოემზადონ დასახული გრძელვადიანი მიზნის მისაღწევად;
ა.ბ) ამ მიზნის განხორციელებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების (პრაქტიკული, საინტერეპრეტაციო, ანალიზის, კვლევის, საპრეზენტაციო, საკომუნიკაციო და სხვ.) დადგენა და მუსიკის საგნობრივ პროგრამაზე დაფუძნებული ისეთი სასწავლო გეგმის შედგე¬ნა, რომელიც ითვალისწინებს სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურ მონაწილეობას, მოსწავლეთა ცოდნას, ინტერესებს, შესაძლებლობებს, შეხედულებებსა და გამოცდილებას;
ა.გ) სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისი ჯგუფური აქტივობების დაგეგმვა (მაგ., კონცერტი, მეჯლისი, პროექტი, წარმოდგენა, აქტივობა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით): მიზნების განსაზღვრა, სხვა საგნებთან კავშირის დადგენა, მიზნების შესაბამისი იდეის/თემის და დავალების შერჩევა, მონაწილეთა რაოდენობის დადგენა, მუსიკალური მონაცემების გათვალისწინებით მოსწავლეთა ფუნქციების განსაზღვრა, განხორციელების ეტაპების, გზების და საშუალებების შერჩევა;
ა.დ) შერჩეული სავარჯიშოების/დავალებების განსახორციელებლად საჭირო დროის განსაზღვრა, თითოეული აქტივობის მსვლელობის ეტაპების დაგეგმვა და სწავლების ორგანიზების სათანადო ფორმების შერჩევა: ჯგუფური, წყვილური, ინდივიდუალური, მთელი კლასის მონაწილეობით მუშაობა; შეფასების მიზნებისა და სტრატეგიების განსაზღვრა.

ბ) სასწავლო პროცესის წარმართვა:

ბ.ა) შედეგზე და მოსწავლის მუსიკალური მონაცემების განვითარებაზე და ცოდნის გაღრმავებაზე ორიენტირებული საგაკვეთილო პროცესის წარმართვა: გაკვეთილის ჩატარება გეგმის მიხედვით;
ბ.ბ) ისეთი შემოქმედებითი და მეთოდური მიდგომების გამოყენება, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივირებას გასაცნობი მასალის მიმართ: მასალის შერჩევისას მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინება, წინმსწრები სამოტივაციო აქტივობების შემუშავება – ვარაუდების გამოთქმა, მოსწავლის პირად გამოცდილებასთან დაკავშირება, მოსწავლის ცოდნის გააქტიურება, საინტერესო ამოცანების დასმა, აზრის გამოთქმისა და მსჯელობის წახალისება და სხვა;
ბ.გ) მოსწავლეთა მოტივირება პრაქტიკულ აქტივობაში ჩასაბმელად: მოსწავლის ინტერესებთან და პირად გამოცდილებასთან დაკავშირებული თემების/ საკითხების შერჩევა, თვითგამოხატვის, არჩევანის (შესასრულებელი ნაწარმოები, ჟანრი, თემატიკა, და სხვა) საშუალების მიცემა, საინტერესო დავალებების შეთავაზება და სხვა;
ბ.დ) მოსწავლეებისათვის ამოცანების/პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრისათვის სათანადო უნარების განვითარება: მიზნის განსაზღვრა, იდეების გენერაცია-დახარისხება, დაგეგმვა, მუსიკალურ-გამომსახველობით ხერხებზე დაკვირვება, საჭირო მასალის მოძიება/თავმოყრა, გეგმის ჩანაწერის შექმნა დამოუკიდებლად და/ან თანამშრომლობის გზით და სხვა;
ბ.ე) სწავლა-სწავლების პროცესში ისეთი სტრატეგიების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებას და განვითარებას;
ისეთი ხერხების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის ჩაბმას საკლასო აქტივობებში: მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით დიფერენცირებული მოთხოვნების წაყენება, სხვადასხვა ტიპის და სირთულის ამოცანების დასმა, კლასში პასუხების/მოსაზრებების შედარება-გაანალიზების ხელშეწყობა, საკამათო საკითხებზე დისკუსიის წახალისება და სხვა;

მუხლი 71. შეფასება

ა) განმავითარებელი შეფასების გამოყენება მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით: მოსწავლის კომპეტენციის შემოწმება ცოდნის ათვისების სამივე დონეზე (I. ოპერაციის წვდომა; II. ოპერაციის გავარჯიშება; III. ოპერაციის დაუფლება), კონკრეტული პრობლემების გამომწვევი მიზეზების გამოვლენა და სათანადო აქტივობების დაგეგმვა მათ აღმოსაფხვრელად;

ბ) განმსაზღვრელი შეფასების გამოყენება ცოდნის ათვისების მესამე დონეზე; სასწავლო პროცესში შეფასების მრავალფეროვანი კომპონენტების გამოყენება, მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარების უზრუნველსაყოფად;
გ) სასწავლო მიზნებისა და შეფასების სტრატეგიების ურთიერთშეთანხმება: მიზნების შესაბამისი შეფასების კრიტერიუმების და ხერხების შერჩევა/შემუშავება;
დ) მოსწავლეთა ჩართვა შეფასების კრიტერიუმების შემუშავების, თვითშეფასების და თანაშეფასების პროცესში;
ე) მომავალი სასწავლო პროცესის დასაგეგმად შეფასების მონაცემების გამოყენება;
მოსწავლეთა საჭიროებების, პროგრესისა და მიღწევების აღნუსხვა, ანალიზი და ანგარიშის სახით წარმოდგენა;
ვ) საკუთარი პედაგოგიური საქმიანობის შეფასება;
ზ) შეფასებისა და თვითშეფასების მონაცემების გამოყენება მომავალი სასწავლო პროცესის დასაგეგმად.

საგამოცდო პროგრამის პროექტი

საგამოცდო პროგრამის პროექტი ეფუძნება საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს მუსიკაში. პროგრამის მარცხენა სვეტში (საკითხთა ჩამონათვალი) მოცემულია იმ საკითხების ნუსხა, რომელთა ცოდნა მოეთხოვება პედაგოგს საგნობრივი გამოცდის ჩასაბარებლად. მათი დაზუსტება ხდება პროგრამის მარჯვენა სვეტში (საკითხის დაზუსტება), სადაც მითითებულია, რისი ცოდნა მოეთხოვება პედაგოგს შესაბამისი საკითხის გარშემო.

2016 წლის მასწავლებელთა საგნობრივი გამოცდის პროგრამა

მუსიკაში

საკითხთა ჩამონათვალი	საკითხის დაზუსტება
1. პროფესიული ცოდნა	
ელემენტარული თეორია და ჰარმონია	
ბგერა და მისი თვისებები	მუსიკალური და არამუსიკალური ბგერები, მუსიკალური ბგერის სიმაღლე, სიძლიერე, ტემბრი, გრძლიობა
მუსიკალური ანბანი და დამწერლობა	სანოტო სისტემა, სანოტო ნიშნები, აკოლადა, პაუზები, ვიოლინოსა და ბანის გასაღებები, ალტერაციის ნიშნები
მელოდია	მდორე, ნახტომისებური, ტალღისებური; წინადადება, ფრაზა, მოტივი; ცეზურა, კადანსი
რიტმი	გრძლიობათა ძირითადი და თავისუფალი დაყოფა
მეტრი	მარტივი, რთული, შერეული
ტემპი	ნელი, საშუალო, ჩქარი; აჩქარებული, შენელებული და სხვ.
რეგისტრი	დაბალი, საშუალო, მაღალი
დინამიკური ნიუანსები	Piano, forte, pianissimo, fortissimo, diminuendo, crescendo, rinforzando, mezoforte, mezopiano, sforzando, calando, morendo, smorzando და სხვ.
ემოციური ნიუანსები	Dolce, graciozo, mesto, pezante, cantabile, con espressione, agitato და სხვ.

აგოგიკური ნიუანსები **მუსიკალური ფაქტურა** **მუსიკალური ტერმინოლოგია** **ინტერვალები** **მაჟორულ-მინორული სისტემა** **დიატონური კილოები**	Ad libitum, tempo rubato, capricciozo და სხვ. მონოდიური, ჰარმონიული, ჰომოფონური, პოლიფონიური ქართულ და იტალიურ ენებზე მარტივი (პრიმა, სეკუნდა, ტერცია და სხვ.) რთული ან შედგენილი (ნონა, დეციმა, უნდეციმა და სხვ.), კონსონანსი, დისონანსი კილო (მაჟორისა და მინორის სამი სახე) და ტონალობა ძირითადი ფუნქციები - ტონიკა (T), სუბდომინანტა (S), დომინანტა (D) ძირითადი ფუნქციების სამხმოვანებები და მათი შებრუნებები, ძირითადი საფეხურების სეპტაკორდები და მათი შებრუნებები იონიური, მიქსოლიდიური, ლიდიური, ეოლიური, ფრიგიული, დორიული
პოლიფონიის საფუძვლები	კანონი, ფუგა
მუსიკალური ფორმები	მარტივი ფორმები (პერიოდი, ორ- და სამნაწილიანი ფორმები), რთული სამნაწილიანი, კუპლეტური, ვარიაციული, რონდო, სონატური ფორმა

საშემსრულებლო ფორმები და შემადგენლობა **(კლასიკური, ჯაზური, როკ, პოპ და ფოლკ მუსიკა)**	
ვოკალური	
სასიმღერო ხმები	ქალთა (სოპრანო, მეცოსოპრანო, ალტი), მამაკაცთა (კონტრტენორი, ტენორი, ბარიტონი, ბანი) და ბავშვთა (დისკანტი, სოპრანო)
შესრულების ფორმები	კანტილენა, რეჩიტატივი და სხვ.
შემადგენლობა	სოლო, ანსამბლი (დუეტი, ტერცეტი, კვარტეტი, კვინტეტი, სექსტეტი, სეპტეტი, ოქტეტი), გუნდი (მამაკაცთა, ქალთა, ბავშვთა, შერეული)
ინსტრუმენტული	
ქართული და მსოფლიო ხალხთა საკრავები და საკრავთა ჯგუფები (ხალხური, პროფესიული)	სიმებიანი, სიმებიან-ხემიანი, ჩასაბერი, დასარტყამი, კლავიშიანი
სხვადასხვა საკრავზე ბგერის მიღებისა და შესრულების ხერხები	ლეგატო, სტაკატო, პორტამენტო, არპეჯიატო, გლისანდო, ფლაჟოლეტი, პიციკატო, მელიზმები და სხვ.
საკრავიერი შემადგენლობა	სოლო, ანსამბლი (დუეტი, ტრიო, კვარტეტი, კვინტეტი, სექსტეტი, სეპტეტი, ოქტეტი), ორკესტრი (კამერული, ჩასაბერი, სიმფონიური, დასარტყამი, ჯაზ ბენდი)

მუსიკის ისტორიის საკითხები
• მუსიკის ისტორიის ეპოქების, მიმდინარეობებისა და სტილების ძირითადი მხატვრული მახასიათებლები • მუსიკალური ხელოვნების დარგები (პროფესიული და ხალხური, საეკლესიო და საერო) • მუსიკალური ჟანრების (ოპერა, ბალეტი, ოპერეტა, მიუზიკლი, ორატორია, კანტატა, სიმფონია, სიმფონიური უვერტიურა, კამერულ-ინსტრუმენტული ანსამბლი, მუსიკა თეატრისა და კინოსათვის, ინსტრუმენტული კონცერტი, ვოკალური და ინსტრუმენტული ციკლები, ერთნაწილიანი ინსტრუმენტული პიესა, სიმღერა, ცეკვა, მარში და ა.შ.) ძირითადი მახასიათებლები • გამოჩენილი კომპოზიტორები და მათი შემოქმედების ძირითადი მახასიათებლები • მუსიკალური ნაწარმოებების ზოგადი დახასიათება (მათი სახელწოდება, ავტორი, ეპოქა, ჟანრი, სტილი, ძირითადი მხატვრული სახეები, კულტურულ-ისტორიულ კონტექსტში აღქმა) • მუსიკალური საშემსრულებლო პროფესიები (დირიჟორი, ლოტბარი, ვოკალისტი, ინსტრუმენტალისტი, ხალხური მომღერალი, მგალობელი)

ქართული მუსიკა	
ა) ხალხური მუსიკა	**უძველესი ქართული ხალხური მუსიკის ტრადიციები და ნიმუშები;** ცნობები ქრისტიანობამდელი პერიოდის მუსიკის შესახებ **ხმიერი, საკრავიერი, ხმიერ-საკრავიერი მუსიკა;** **სოლო, საანსამბლო და გუნდური შესრულება;** **ხალხური საკრავები** (ჩონგური, ფანდური, სალამური, გუდასტვირი, ჩანგი, ჭიანური, დოლი და სხვ.) **აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მთისა და ბარის ეთნოგრაფიული კუთხეების მუსიკა** (ქართლური, კახური, ხევსურული, ფშაური, მთიულური, იმერული, სვანური, რაჭული, ლეჩხუმური, მეგრული, გურული, ლაზური, აჭარული, მესხური) **ჟანრები** (სუფრული, სამგლოვიარო, საცეკვაო, საქორწილო, შრომის, კალენდარული, სალაშქრო, მგზავრული და სხვ.) ერთხმიანი და მრავალხმიანი წყობა (ოსტინატური, ბურდონული, კომპლექსური/სინქრონული, კონტრასტული) **სიმღერები და ცეკვები:** ქართლ-კახური „გუთნური“, „ჩაკრულო“, „მზე შინა და მზე გარეთა“, „ალილო“, „ჭონა“, „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“, „მუმლი მუხასა“, „ცანგალა და გოგონა“, „წინ-წყარო“, „აჰ, ლაზარე, ლაზარე“, მოხეური „მოხევე ქალო თინაო“, სვანური „მირანგულა“, „ლილე“, „ყანსავ ყიფიანე“, „შინა ვორგილ“, ფშაური „ჯვარი წინასა“, აჭარული „ხერტლის ნადური“, გურული „ბატონებო“, „ხასანბეგურა“, მეგრული „აშო ჩელა“, „ოდოია“, „სისა ტურა“, „ნანა“, „იავ ნანა“, რაჭული „ალილო“, აჭარული „ხორუმი“ და სხვ. **ხალხური მუსიკის გამოჩენილი შემსრულებლები: ფოლკლორული ჯგუფები, მომღერალი ოჯახები, შემსრულებლები** **ქალაქური მუსიკის აღმოსავლური და დასავლური შტოები** („სულიკო“, „ციცინათელა“, „ჩონგურს სიმები გავუბი“ და სხვ).
ბ) პროფესიული მუსიკა	**სასულიერო მუსიკა** სამგალობლო სკოლები (გელათის, შემოქმედის, სვეტიცხოვლის) XIX ს. საეკლესიო გალობის აღმდგენელი კომიტეტის მოღვაწეობა XX ს.-ის ტენდენციები სასულიერო მუსიკაში საგალობლები („უფალი სუფევს“, „წმიდაო ღმერთო“, „ქრისტე აღსდგა“, „ნინოს ტროპარი“, „შენ ხარ ვენახი“)
XIX ს.	**საერო მუსიკა** **მუსიკალური კულტურა საქართველოში** (მუსიკალური საგანმანათლებლო კერები, ხალხური საგუნდო მუსიკის აღორძინება, საოპერო თეატრის დაარსება და სხვ.)
XIX-XX სს. მიჯნა	**საკომპოზიტორო სკოლის ჩამოყალიბება** ***კომპოზიტორები:*** დ.არაყიშვილი (ოპერა „თქმულება შოთა

XX ს.-დან დღემდე	რუსთაველზე“, რომანსები),ზ.ფალიაშვილი (ოპერები „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“), მ.ბალანჩივაძე (ოპერა „დარეჯან ცბიერი“, რომანსები), ვ.დოლიძე (ოპერა „ქეთო და კოტე“), ნ.სულხანიშვილი (საგუნდო სიმღერები „გუთნური“, „მესტვირული“, „ღმერთო, ღმერთო“) ***კომპოზიტორები:*** ა.ბალანჩივაძე (საფორტეპიანო კონცერტი №3 a-moll), შ.მშველიძე (სიმფონიური პოემა „ზვიადაური“), ა.მაჭავარიანი (ბალეტი „ოტელო“, სავიოლინო კონცერტი d-moll), ო.თაქთაქიშვილი (ოპერა „მინდია“), დ.თორაძე (ბალეტი „გორდა“, კინომუსიკა, სიმღერები), რ.ლაღიძე (ოპერა „ლელა“, სიმღერები), ს.ცინცაძე (სიმებიანი კვარტეტი №2 D-dur, საკვარტეტო მინიატურები, კინომუსიკა, სიმღერები), ს.ნასიძე (სიმფონია №5 „ფიროსმანი“), ბ.კვერნაძე (კინომუსიკა, სიმღერები), ნ.გაბუნია („იგავი“ მთხრობელის, სამი ვოკალისტისა და ინსტრუმენტული სეპტეტისათვის; კინომუსიკა), გ. ცაბაძე (კინომუსიკა, სიმღერები), ნ.მამისაშვილი (საბავშვო პიესები ფორტეპიანოსათვის), გ.ყანჩელი („სტიქსი“ სოლო ალტისა და სიმფონიური ორკესტრისათვის; კინომუსიკა და მუსიკა თეატრისათვის, სიმღერები), ვ.აზარაშვილი (სიმღერები), ჯ.კახიძე (სიმღერები), ი.კეჭაყმაძე (საგუნდო მუსიკა), მ.შუღლიაშვილი („ეგზერსისი“ ფორტეპიანოსათვის), გ.ბზვანელის, ი.გურგულიას, მ.დავითაშვილის, ნ.გაბუნიას სიმღერები

უცხოეთის მუსიკა	
მუსიკის საწყისები და ძველი ცივილიზაციების მუსიკა ძვ.წ. 60000 - ახ.წ. 500 **ა) ეგვიპტე, შუამდინარეთი, უძველესი ინდოეთი, უძველესი ჩინეთი**	**მუსიკის როლი და ფუნქცია, რელიგიური მისტერიები; სამეფო კარის მუსიკა; სინკრეტული ხელოვნება**
ბ) ანტიკური საბერძნეთისა და რომის მუსიკა	**ეპიკური და ლირიკული მუსიკა; მუსიკა ანტიკურ თეატრში**
დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების მუსიკა V-XIV I ნახ. სს.	***საეკლესიო მუსიკა:*** ფსალმოდია, ჰიმნი, გრიგორისეული ქორალი, მესა; მონოდია, ნევმები, გვიდო არეცოელის სანოტო სისტემა ***საერო მუსიკა:*** ტრუბადურების, ტრუვერებისა და მინეზინგერების სასიმღერო პოეტური ხელოვნება; მოხეტიალე მუსიკოსების ხელოვნება
დასავლეთ ევროპის რენესანსის მუსიკა XIV- XVI სს.	***საეკლესიო მუსიკის ჟანრები:*** მესა, მოტეტი ***საერო მრავალხმიანი სიმღერის ჟანრები:*** მადრიგალი, შანსონი, ინგლისური სიმღერა ***ინსტრუმენტული მუსიკა*** ***კომპოზიტორები:*** ლ. დი პალესტრინა („პაპი მარჩელოს მესა“), კ. ჟანეკენი (სიმღერა „ჩიტების გალობა“)
დასავლეთ ევროპის ბაროკოს მუსიკა XVII ს. და XVIII ს. I ნახ.	**ბაროკოს სტილის დახასიათება; *ოპერის ჟანრის* შექმნა და საოპერო სკოლები იტალიაში, საფრანგეთსა და ინგლისში** ***კომპოზიტორები:*** ჯ.პერი (ოპერა „ორფევსი და ევრიდიკე“) ***ბალეტის ჟანრის* შექმნა იტალიასა და საფრანგეთში** ***კომპოზიტორები:*** ა.ვივალდი (სავიოლინო კონცერტი „გაზაფხული“ ციკლიდან „წელიწადის დრონი“), დ.სკარლატი (სონატები K.159 C-dur; K.141 d-moll); ი.ს.ბახი („მაღალი მესა“ h-moll, „ყავის კანტატა“, საორგანო ტოკატა და ფუგა d-moll, „ბრანდენბურგის კონცერტი“ №2 , „ფრანგული სუიტა“ №2, პრელუდია და ფუგა №1 C-dur „კარგად ტემპერირებული კლავირის“ I ტომიდან); გ.ფ.ჰენდელი (ორატორია „მესია“, სუიტა „მუსიკა წყალზე“)

დასავლეთ ევროპის კლასიციზმის მუსიკა **ა) ფრანგული კლასიციზმი** **XVIII ს. I ნახ.**	**კლასიციზმის დახასიათება** ***კომპოზიტორი - კლავესინისტები:*** ჟ. ფ. რამო (პიესები კლავესინისათვის „ქათამი“, „ჩიტების გადამახილი“), ლ.კ. დაკენი (პიესა კლავესინისათვის „გუგული“).
ბ) ავსტრო - გერმანული კლასიციზმი **XVIII ს. II ნახ.**	**ვენის კლასიკური სკოლა** ***კომპოზიტორები:*** ქ.გლუკი (ოპერა „ორფევსი და ევრიდიკე“), ი.ჰაიდნი (სიმფონია №103 Es-dur „ლიტავრების ტრემოლოთი“; სიმებიანი კვარტეტი №15 D-dur, საფორტეპიანო სონატა Hob.XVI 37 D-dur), ვ.ა.მოცარტი (ოპერები „ფიგაროს ქორწინება“, „ჯადოსნური ფლეიტა“; რექვიემი d-moll; სიმფონია №40 g-moll; „ღამის პატარა სერენადა“, საფორტეპიანო სონატა №11 A-dur), ლ. ვან ბეთჰოვენი (სიმფონიები №5 c-moll, №9 d-moll; უვერტიურა „ეგმონტი“; საფორტეპიანო კონცერტი №3 c-moll, საფორტეპიანო სონატები № 8 c-moll „პათეტიკური“, №14 cis –moll „მთვარის“)
ევროპული რომანტიკული მუსიკა XIX ს.	**რომანტიზმის დახასიათება** ***კომპოზიტორები:*** ფ.შუბერტი (სიმღერები „Ave Maria“, „კალმახი“, „სერენადა“, ბალადა „ტყის მეფე“, სიმფონია №8 h-moll „დაუმთავრებელი“; მუსიკალური მომენტი f-moll); ფ.მენდელსონი (უვერტიურა და საქორწილო მარში მუსიკიდან უ.შექსპირის კომედიისათვის „ზაფხულის ღამის სიზმარი“, სავიოლინო კონცერტი e-moll, საფორტეპიანო პიესა „ჯარასთან“ კრებულიდან „უსიტყვო სიმღერები“), რ.შუმანი (საფორტეპიანო ციკლი „კარნავალი“; პიესები „საბავშვო ალბომიდან“), ფ.შოპენი (ნოქტიურნი №8 Des-dur op.27 №2, პრელუდიები op.28 №4 e-moll, №7 A-dur, №20 c-moll, ეტიუდები op.10 №3 E-dur, №12 c-moll „რევოლუციური“, მაზურეკები op.17 №4 a-moll, op.68 №1 C-dur, პოლონეზი №3 A-dur op.40 №1, ვალსი №7 cis-moll op.64), ჰ.ბერლიოზი („ფანტასტიკური სიმფონია“), ფ.ლისტი („უნგრული რაფსოდია“ №2 cis -moll, პარაფრაზა „რიგოლეტო“), ნ.პაგანინი (სავიოლინო კონცერტი №2 h-moll op.7, კაპრისი სოლო ვიოლინოსათვის №24 ციკლიდან „24 კაპრისი“), ი. ბრამსი („უნგრული ცეკვა“ g-moll ორკესტრისათვის), ჯ.როსინი (ოპერა „სევილიელი დალაქი“), ჯ.ვერდი (ოპერები „რიგოლეტო“, „ტრავიატა“, „აიდა“), რ.ვაგნერი (ოპერა „ლოენგრინი“), ჟ.ბიზე (ოპერა „კარმენი“), კ.სენ-სანსი (ინსტრუმენტული ციკლი „ცხოველთა კარნავალი“), ე.გრიგი (საორკესტრო სუიტა „პერ გიუნტი“, საფორტეპიანო კონცერტი a-moll), ა.დვორჟაკი (სიმფონია №5 e-moll „ახალი სამყაროდან“), ი.შტრაუსი (ვალსები), ჟ.ოფენბახი, ა.ადანი (ბალეტი „ჟიზელი“), ლ.მინკუსი (ბალეტი „დონ კიხოტი“)

რუსული მუსიკა XIX ს.	**რეალიზმისა და რომანტიზმის ტენდენციები „მძლავრი ჯგუფი“; *კომპოზიტორები:*** მ.მუსორგსკი (საფორტეპიანო სუიტა „სურათები გამოფენიდან“), ნ.რიმსკი-კორსაკოვი (სიმფონიური სუიტა „შაჰრაზადი“, პიესა „კელას გაფრენა“); პ.ჩაიკოვსკი (ოპერა „ევგენი ონეგინი“, ბალეტი „მაკნატუნა“, საფორტეპიანო კონცერტი №1 b-moll, საფორტეპიანო სუიტა „წელიწადის დრონი“, პიესები „საბავშვო ალბომიდან“ ფორტეპიანოსათვის)
მუსიკა XIX-XX სს. მიჯნაზე **ა) ავსტრო-გერმანული გვიანი რომანტიზმი**	**გვიანი რომანტიზმის დახასიათება.** ***კომპოზიტორი:*** გ.მალერი (სიმფონიები №1 D-dur „ტიტანი“, №5 cis moll)
ბ) დასავლეთ ევროპის იმპრესიონიზმი	**იმპრესიონისტული სტილის დახასიათება;** ***კომპოზიტორები:*** კ.დებიუსი (სიმფონიური ციკლი „ნოქტიურნები“, პიესა სოლო ფლეტისათვის „სირინქსი“, პრელუდიები „სელისფერთმიანი ქალიშვილი“, „ჩაძირული ტაძარი“ ციკლიდან „24 პრელუდია“, საფორტეპიანო ციკლი „საბავშვო კუთხე“, საფორტეპიანო პიესა „მთვარის შუქი“ „სუიტიდან ფორტეპიანოსათვის“); მ.რაველი (სიმფონიური პიესა „ბოლერო“, საფორტეპიანო პიესა „წყლის თამაში“)
გ) იტალიური ვერიზმი	**ვერიზმის დახასიათება.** ***კომპოზიტორები:*** ჯ.პუჩინი (ოპერა„ტურანდოტი“), პ.მასკანი (ოპერა „სოფლის პატიოსნება“)
დ) რუსული მუსიკა	**გვიანი რომანტიზმისა და ექსპრესიონიზმის ტენდენციები** ***კომპოზიტორები:*** ს.რახმანინოვი (საფორტეპიანო კონცერტი №2 c-moll, „რაფსოდია პაგანინის თემაზე“, რომანსები), ი.სტრავინსკი (ბალეტი „პეტრუშკა“)
XX საუკუნის და დღემდე მუსიკა	**ექსპრესიონიზმი, ნეოკლასიციზმი, ფოლკოლორიზმი, ჯაზი კლასიკურ მუსიკაში, მინიმალიზმი, ელექტრონული მუსიკა და სხვ.** ***კომპოზიტორები:*** ა.შონბერგი (საფორტეპიანო სუიტა op.25), კ.ორფი (კანტატა „კარმინა ბურანა“), ბ.ბარტოკი (მუსიკა სიმებიანების, დასარტყამებისა და ჩელესტასათვის), ჯ.გერშვინი (ოპერა „პორგი და ბესი“, „რაფსოდია ბლუზის ტონებში“), ს.პროკოფიევი (ბალეტი „რომეო და ჯულიეტა“, სიმფონია №1 D-dur „კლასიკური“, საფორტეპიანო პიესა „ტოკატა“ d-moll op.11); ა.ხაჩატურიანი (ბალეტი „გაიანე“), დ.შოსტაკოვიჩი (სიმფონია №7 C-dur „ლენინგრადული“); ო.მესიანი („ეგზოტიკური ფრინველები“ ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის), ი.ქსენაკისი (Meatastaseis), ა.პიაცოლა (ტანგოები)

აშშ მუსიკალური კულტურა მიუზიკლისა და როკ-ოპერის ჟანრები	**კომპოზიტორები:** ლ.ბარტი (მიუზიკლი „ოლივერი“), რ.როჯერსი (მიუზიკლი „მუსიკის ჰანგები“), ლ.ბერნსტაინი (მიუზიკლი „ვესტსაიდის ისტორია“), ე.ლ.უებერი (როკ-ოპერები „სუპერ სტარი“, „ოპერის აჩრდილი“)
აშშ და ევროპული მუსიკა ჯაზი და პოპულარული მუსიკა	**სპირიჩუელსი, ბლუზი, ტრადიციული და კლასიკური ჯაზი, სვინგი, რეგთაიმი, ბი-ბოპი, ლათინურ-ამერიკული საცეკვაო მუსიკა და სხვ.** ***კომპოზიტორები და შემსრულებლები (სოლისტებისა და ბენდების პოპულარული რეპერტუარი):*** ლ.არმსტრონგი, ბ.ჰოლიდეი, ე.ფიცჯერალდი, გ.მილერი, დ.ელინგტონი, ბ.გუდმენი, ნათ-ქინგ-ქოლი, ჩ.პარკერი, ს.ჯოპლინი, ო.პიტერსონი, დ.ბრუბეკი და სხვ. **როკ-ენ-როლი, რეგთაიმი, ფოლკი, პოპ მუსიკა, ახალი შანსონი, ტექნო, რეპი და რეგი** ***კომპოზიტორები და შემსრულებლები (სოლისტებისა და ანსამბლების პოპულარული რეპერტუარი):*** ე.პრესლი, ფ.სინატრა, „ბითლზი“, „ლედ ზეპელინი“, რ. ჩარლზი, ბ.მარლი, ჯ.ჯოპლინი, ბ.სტრაიზანდი, ს.ვანდერი, ჯ.კოკერი, ბ.ვაითი, მ.ჯექსონი და სხვ.
კინომუსიკა	**მუსიკა მუნჯური და ხმოვანი კინოსათვის** **კლასიკური მუსიკა კინოხელოვნებაში; კინომუზიკლის ჟანრი; მუსიკა თანამედროვე კინოხელოვნებაში** **(პოპულარული მუსიკა კინოფილმებიდან, საუნდტრექები)** ***კომპოზიტორები:*** ჩ.ჩაპლინი, ნ.როტა, ე.მორიკონე, მ.ლეგრანი, ფ.გლასი, ჯ.ჰორნერი და სხვ.

2. პროფესიული უნარ-ჩვევები	
1. **პრაქტიკული უნარ-ჩვევები** 2. **კომუნიკაცია-ინტერპრეტაცია** 3. **მუსიკალური ნაწარმოების აღქმა კონტექსტში**	• მუსიკალურ-თემატური მასალის გადმოცემა სხვადასხვა ხერხით: სიმღერის გამღერება სასწავლო გეგმის მასალიდან, მელოდიის გამღერება ფურცლიდან, ერთხმიანი მელოდიის ჩაწერა სანოტო სისტემის გამოყენებით, რიტმული ნახაზის ამოცნობა და ჩაწერა, მელოდიის ჰარმონიზაცია ძირითადი ფუნქციების აკორდიკით, მარტივ მრავალხმიან სიმღერაში მოცემული ხმისათვის სხვა ხმების შეწყობა - სიმღერითა და/ან სანოტო ჩანაწერის საშუალებით. • ნაწარმოების, მისი ფრაგმენტის ან მუსიკალური ენის ელემენტების ამოცნობა სანოტო ჩანაწერის საფუძველზე • მუსიკალური ტერმინებისა და ცნებების განსაზღვრა და ადეკვატური გამოყენება • მუსიკალური ნაწარმოების შესრულების შეფასება • ქართველი და უცხოელი გამოჩენილი კომპოზიტორების შემოქმედებიდან სხვადასხვა ჟანრის ნაცნობი (ქრესთომატიული) მუსიკალური ნიმუშების ან მათი ფრაგმენტების ამოცნობა (ეპოქის, სტილის, კომპოზიტორის, ფორმის, ჟანრისა და ძირითადი მუსიკალური ელემენტების განსაზღვრა) • უცნობი ტიპიური მუსიკალური ნაწარმოების ანალიზი • მუსიკის დაკავშირება ხელოვნების სხვა დარგებთან (შედარება, პარალელების გავლება) • მუსიკალური სტილებისა და ეპოქების დახასიათება, სხვადასხვა ეპოქისა და ჟანრის მუსიკალურ ნაწარმოებებს შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებაზე მსჯელობა და კულტურულ-ისტორიულ კონტექსტთან დაკავშირება • კომპოზიტორების შემოქმედებასა და შემსრულებლების სტილზე მსჯელობა

ტესტის სტრუქტურა და ქულათა განაწილება

საგნობრივი კომპეტენციის ტესტი ამოწმებს საგამოცდო პროგრამაში ასახული მასალის ცოდნასა და ამ ცოდნის გამოყენების უნარს.

საგნობრივი კომპეტენცია შეიცავს ორ ნაწილს:

I <u>მოსმენის დავალებები</u>

ა) დახურული კითხვები

ბ) ნაწარმოების ანალიზი;

გ) პრაქტიკული დავალება - მუსიკალური კარნახი.

II <u>დახურული და ღია დავალებები, რომელიც მოსასმენი მასალის გარეშეა წარმოდგენილი.</u>

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია საგამოცდო ტესტის სტრუქტურა და ქულათა განაწილება დავალებების მიხედვით:

საგნობრივი კომპეტენცია (ცოდნა, გამოყენება, ანალიზი)				
რას ვაფასებთ	დავალების ტიპები და ინსტრუქციები	საკითხი	ქულა	ქულათა მაქსიმუმი
ქართული და მსოფლიო მუსიკის ისტორიისა და მუსიკის თეორიის საკითხები	ა) დახურული კითხვა-არჩევითბოლოიანი დავალება: 4 სავარაუდო პასუხიდან შემოხაზეთ 1 სწორი პასუხი	22	1	22

	ბ) დავალება „ჭეშმარიტია თუ მცდარი“: აღნიშნეთ, ჭეშმარიტია თუ მცდარი მოცემული დებულება და ჩაწერეთ სწორი ფორმულირება	3	1	3
	გ) ქრონოლოგიის დადგენა: დაალაგეთ მოცემულობა ქრონოლოგიური პრინციპით (უძველესიდან უახლესისაკენ)	2	1	2
	დ) შესაბამისობის დადგენა: შეუსაბამეთ ერთ სვეტში მოცემული საგაკვეთილო მიზნები მეორე სვეტში მოცემულ სასწავლო აქტივობებს	3	3	9
მუსიკალური ნაწარმოების ანალიზი	**ღია დავალება:** მოუსმინეთ მუსიკალურ ნაწარმოებს და მოსმენისა და სანოტო ჩანაწერის საფუძველზე გააკეთეთ ანალიზი მოცემული საკითხების მიხედვით	1	15	15
პრაქტიკული უნარები	**ა) მელოდიური კარნახი**	1	5	5
	ბ) ინტერვალის, სამ- და ოთხხმიანი აკორდებისა და კილოს აგება	4	1	4
საკითხების ჯამური რაოდენობა				**36 საკითხი**
მაქსიმალური ქულა მთელი ტესტისათვის				**60 ქულა**

მინიმალური ზღვარი

ტესტის წარმატებით ჩასაბარებლად აუცილებელია, რომ კანდიდატმა გადალახოს ტესტის მაქსიმალური ქულის 60% ანუ კანდიდატმა უნდა დააგროვოს ტესტის მაქსიმალური ქულის 60% +1 ქულა. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტესტის მაქსიმალური ქულაა 60. შესაბამისად, გამსვლელი ქულაა 37 ან მეტი.

ტესტზე მუშაობის ხანგრძლივობაა 5 საათი. დრო თავისუფლად შეგიძლიათ გაანაწილოთ მთელ ტესტზე, გარდა მოსმენის ნაწილისა, რომლითაც იწყება გამოცდა და სადაც თითოეული დავალების შესრულებისათვის მითითებულია კონკრეტული დრო.

ტესტი შეიცავს სხვადასხვა ტიპის დავალებებს. ქვემოთ წარმოგიდგენთ დავალების ტიპებს, პასუხების ნიმუშებს, განმარტებებსა და რეკომენდაციებს ტესტზე მუშაობისათვის.

I- დახურული კითხვები

არჩევითბოლოიანი დავალება

დავალების აღწერა: დავალებაში დასმულია კითხვა, რომელსაც ოთხი სავარაუდო პასუხი ახლავს. **მათგან მხოლოდ ერთია სწორი.** პასუხების ფურცელში უნდა მონიშნოთ თქვენ მიერ არჩეული სწორი პასუხის შესაბამისი უჯრა X ნიშნით. მოცემული ტესტური დავალება ამოწმებს როგორც ფაქტობრივი მასალის, ცნებებისა და ტერმინების ცოდნას, ასევე მისი გამოყენების უნარს. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით. განვიხილოთ დახურული კითხვების რამოდენიმე ნიმუში:

1. **დახურული კითხვები მოცემულია ტესტის I მოსმენის დავალებებში. აუდიო ჩანაწერში უსმენთ მუსიკალურ ფრაგმენტებს, როგორც ქართული (კლასიკური და ხალხური), ისე უცხოური მუსიკიდან; თითოეული დავალებისათვის განკუთვნილია ერთი მუსიკალური ფრაგმენტი, რომელსაც თან ახლავს ორი კითხვა; ყოველ კითხვას აქვს ოთხი სავარაუდო პასუხი. აირჩიეთ და X ნიშნით მონიშნეთ ერთი სწორი პასუხი პასუხების ფურცელზე.**
   თითოეულ მუსიკალურ ფრაგმენტს მოუსმენთ ორჯერ; პირველსა და მეორე მოსმენას შორის ინტერვალი 20 წამია. ყოველი დავალებისათვის (დავალება 1.1. და 1.2., დავალება 2.1. და 2.2. და ა.შ) განკუთვნილი მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გეძლევათ 10 წამი, რათა წაიკითხოთ დავალების კითხვები.

   <u>მოსმენის ნაწილში</u> მოცემულია ამ ტიპის ექვსი დავალება. ნიმუშისათვის წარმოგიდგენთ ერთს:

ნიმუში - დავალება 1 (მუსიკალური ფრაგმენტის ჩანაწერი მოცემულია საგამოცდო კრებულის აუდიოფაილში).

1.1 განსაზღვრეთ მიმართულება ან პერიოდი, რომელსაც მიეკუთვნება მუსიკალური ნაწარმოები:

ა) კლასიციზმი
ბ) რენესანსი
გ) რომანტიზმი
დ) შუასაუკუნეები

სწორი პასუხია : 1.1 ბ)

1.2 რომელ ჟანრს მიეკუთვნება ნაწარმოები?

ა) ორატორია
ბ) სიმღერა
გ) ოპერა
დ) მესა

სწორი პასუხია : 1.2 დ)

2. დახურული კითხვები -კილოსა და რიტმული ფიგურაციის ამოცნობა მოსმენის საფუძველზე - მოცემულია ტესტის I მოსმენის დავალებებში.

ნიმუში 1 - დავალება 7 (მუსიკალური ჩანაწერი მოცემულია საგამოცდო ბუკლეტის აუდიოფაილში).

აუდიო ჩანაწერში მოუსმენთ კილოს (ბგერათრიგს) და შეარჩევთ შესატყვის სანოტო ჩანაწერს, მოცემული ოთხი ვარიანტიდან. კილოს (ბგერათრიგს) მოისმენთ ორჯერ. პირველსა და მეორე მოსმენას შორის ინტერვალი 5 წამია. ჩანაწერის მოსმენამდე გეძლევათ 5 წამი, რათა გადახედოთ სანოტო ჩანაწერს.

ამოიცანით, რომელი კილო ჟღერს:

ა)



ბ)



გ)



დ)



სწორი პასუხია: ბ)

ნიმუში 2 - დავალება 8 (მუსიკალური ჩანაწერი მოცემულია საგამოცდო ბუკლეტის აუდიოფაილში).

აუდიო ჩანაწერში მოუსმენთ რიტმულ ფიგურაციას და შეარჩევთ შესატყვის სანოტო ჩანაწერს, მოცემული ოთხი ვარიანტიდან. რიტმულ ფიგურაციას მოისმენთ ორჯერ. პირველსა და მეორე მოსმენას შორის ინტერვალი 5 წამია. ჩანაწერის მოსმენამდე გეძლევათ 5 წამი, რათა გადახედოთ სანოტო ჩანაწერს.

განსაზღვრეთ, რომელი რიტმული ფიგურაცია ჟღერს:

ა)



ბ)



გ)



დ)



სწორი პასუხია: დ)

3. დახურული კითხვები, რომელიც ტესტში მოსასმენი მასალის გარეშეა წარმოდგენილი:

ნიმუში

რა ჟანრის ნაწარმოებებს აერთიანებს იოჰან სებასტიან ბახის შემოქმედება? ა) სიმფონიებსა და სონატებს ბ) ოპერებსა და ორატორიებს გ) პრელუდიებსა და ფუგებს დ) ეტიუდებსა და ფანტაზიებს. **სწორი პასუხია : გ)**

II პრაქტიკული დავალებები

ტესტში მოცემულია ორი სახის პრაქტიკული დავალება.

1. მელოდიური კარნახი - მოცემულია ტესტის **<u>I მოსმენის დავალებებში:</u>**

კარნახი მნიშვნელოვანი სავარჯიშოა მუსიკალური სმენისა და მეხსიერებისათვის. იგი ავითარებს მელოდიის აღქმისა და დამახსოვრების, მარტივი ფორმისა და რიტმული სურათის გააზრების, ბგერების სიმაღლის განსაზღვრისა და ნოტებით დაფიქსირების უნარებს.

დავალება გულისხმობს მოსმენილი მელოდიის ჩაწერას სანოტო სისტემაზე. მელოდია ერთხმიანი, რვატაქტიანი და ერთტონალურია. მელოდიის მოსმენისა და ჩაწერისათვის გეძლევათ 15 წუთი; მელოდიას ისმენთ აუდიო ჩანაწერში ოთხჯერ; ყოველ მომდევნო მოსმენას შორის ინტერვალი 2 წუთია. სანოტო სისტემაზე მოცემულია გასაღები და საგასაღებო ნიშნები. აპლიკანტმა უნდა ჩაწეროს კარნახის ზომა, მელოდიური და რიტმული ნახატი. შესაბამისად, ფასდება ყოველი ამ მონაცემის სისწორე **(ზომა, ბგერის სიმაღლე და გრძლიობა)**. დავალების მაქსიმალური ქულაა 5. შეცდომების რაოდენობის მიხედვით, დავალება, შეიძლება, შეფასდეს 5, 4, 3, 2, 1 და 0 ქულით.

შეფასების სქემა:

შეცდომების რაოდენობა	**შეფასება**
0 %	**5**
1%-20%	**4**
21%-40%	**3**
41%-60%	**2**
61%-80%	**1**
81%-100%	**0**

შენიშვნა შეფასებისათვის:

1) კარნახის ზომის შეცდომით განსაზღვრის შემთხვევაში მაქსიმალურ შეფასებას აკლდება 1 ქულა. დანარჩენი შეცდომების პროცენტული გამოთვლა მოხდება 4 ქულიდან.

2) იმ შემთხვევაში, თუ არც ერთი ბგერის სიმაღლე არ იქნება სწორედ ჩაწერილი, მაგრამ მელოდიის რიტმული სურათი ზუსტია, დავალება შეფასდება 1 ქულით.

მაგალითისათვის წარმოგიდგენთ ნიმუშებს აპრობაციისათვის განკუთვნილი ტესტიდან. მელოდია ერთხმიანი, რვატაქტიანი და ერთტონალურია (რე მაჟორი). (ჩანაწერი ნიმუშისათვის მოცემულია საგამოცდო ბუკლეტის აუდიოფაილში).

დავალება 9 (მუსიკალური ფრაგმენტის ჩანაწერი მოცემულია საგამოცდო კრებულის აუდიოფაილში)

ნიმუში 1



განმარტება: მოცემულ ნიმუშში სწორად არის განსაზღვრული კარნახის ზომა, მელოდიური და რიტმული სურათი. შეფასების ქულაა 5.

ნიმუში 2



განმარტება: ნიმუშში დაშვებულია ერთი რიტმული შეცდომა (მე-7 ტაქტში). შეფასება 4 ქულა

ნიმუში 3



განმარტება: დაშვებულია 8 მელოდიური და რიტმული შეცდომა. შეფასება 3 ქულა

ნიმუში 4



განმარტება: ნიმუშში დაშვებულია 15 მელოდიური და რიტმული შეცდომა, ამის გამო, შეფასება 2 ქულა

ნიმუში 5



განმარტება: ამ ნიმუშში ყველა ნოტი შეცდომით არის მოცემული, მაგრამ ზუსტია რიტმული სურათი, რის გამოც დავალება შეფასდა 1 ქულით.

ნიმუში 6



განმარტება: მოცემულ ნიმუშში დაშვებულია შეცდომები ზომაში და პროცენტულად დიდი რაოდენობა მელოდიურ-რიტმულ ნახატში. შეფასების ქულა 0.

რეკომენდაცია მელოდიური კარნახის დავალებისათვის:

მელოდიის ჩაწერის დაწყებამდე, საგასაღებო ნიშნების მიხედვით და მოსმენილი მელოდიის კილოს მიხრილობის განსაზღვრით, დაადგინეთ ტონალობა (პასუხების ფურცელზე კილო-ტონალობის მითითება სავალდებულო არ არის) და შესაბამისად, ტონიკა. ამის შემდეგ, აღნიშნეთ ზომა და დაიწყეთ მელოდიის ჩაწერა.

2. მოცემული ნოტიდან განსაზღვრული ინტერვალის, სამ- და ოთხხმიანი აკორდებისა და კილოს აგება სანოტო სისტემაზე - მოცემულია II <u>ნაწილის დავალებებში, რომელიც დამოუკიდებლად, მოსასმენი მასალის გარეშეა წარმოდგენილი.</u>

კილო, ინტერვალი და აკორდი მუსიკალური ნაწარმოების სტრუქტურის საფუძველია. ოთხივე მოცემულობის სწორად შესრულების შემთხვევაში დავალების შეფასების მაქსიმალური ქულაა 4; თითოეული შეცდომით მაქსიმალურ შეფასებას მოაკლდება თითო ქულა.

მოცემულ შემთხვევაში, აპრობაციისათვის განკუთვნილ დავალებაში, ნოტი მი-დან უნდა აგებულიყო დიდი სეკუნდა, მინორული სამხმოვანება, მცირე მაჟორული სეპტაკორდი და ჰარმონიული მინორული კილო.

ნიმუში 1



განმარტება: ინტერვალი, ორივე აკორდი და კილო სწორად არის აგებული, დავალება შეფასებულია 4 ქულით.

ნიმუში 2



განმარტება: დავალებაში დაშვებულია ერთი შეცდომა - მცირე მაჟორული სეპტაკორდის ნაცვლად, აგებულია მცირე მინორული სეპტაკორდი, ამის გამო, შეფასება 3 ქულა.

ნიმუში 3



განმარტება: დაშვებულია ორი შეცდომა - არ არის აგებული მცირე მაჟორული სეპტაკორდი და ჰარმონიული მინორული კილო, რის გამოც დავალება ფასდება 2 ქულით.

ნიმუში 4



განმარტება: დავალებაში დაშვებულია სამი შეცდომა, სწორად არის აგებული მხოლოდ დიდი სეკუნდა, შესაბამისად, შეფასებაა 1 ქულა.

ნიმუში 5



განმარტება: დავალების არც ერთი მონაცემი არ არის შესრულებული; არ არის მითითებული, აგრეთვე, რომელ გასაღებს ეკუთვნის მოცემული ნოტები (სავარაუდოდ, ვიოლინოს გასაღებს). ამიტომ, დავალების პასუხი ფასდება 0 ქულით.

III შესაბამისობის დადგენა

დავალებაში მოცემულია ჩამონათვლის ორი სვეტი. უნდა დადგინდეს შესაბამისობა ამ ორი სვეტის მოცემულობათა შორის. **მარცხენა სვეტის თითოეულ მონაცემს (1, 2, 3) შეესატყვისება მარჯვენა სვეტის მხოლოდ ერთი მონაცემი (ა, ბ, გ, დ, ე).** თითოეული შესაბამისობა მონიშნეთ X ნიშნით.

შესაბამისობის ჩამონათვალში მოცემულია მუსიკალური მიმდინარეობები, პერიოდები, კომპოზიტორები, მუსიკალური ჟანრები, ნაწარმოებები, თეორიული ცნებები, ტერმინები და სხვ.

ნიმუში

დაადგინეთ შესაბამისობა ქვეყანასა და ოპერის მოქმედების ადგილს შორის:

1) ჯ.ვერდის ოპერა „აიდა“	ა) იაპონია
2) ვ.ა.მოცარტის ოპერა „დონ ჯოვანი“	ბ) იტალია
3) ჯ.პუჩინის ოპერა „ტურანდოტი“	გ) ესპანეთი
	დ) ჩინეთი
	ე) ეგვიპტე

სწორი პასუხებია: 1) - ე); 2) - გ); 3) -დ)

IV დავალება პასუხით „ჭეშმარიტია-მცდარია“

დავალების აღწერა: ტესტის ამ დავალებაში მოცემულია ფაქტობრივი მასალა მუსიკის ისტორიიდან, მუსიკალური ცნების ან ტერმინის განმარტება. თქვენ უნდა შეაფასოთ, მოცემული ფაქტი ან განმარტება ჭეშმარიტია თუ მცდარი. თუ მიიჩნევთ, რომ დებულება ჭეშმარიტია, მონიშნეთ შესაბამისი უჯრა X ნიშნით; ასეთ შემთხვევაში კომენტარის გაკეთება არ მოგეთხოვებათ. თუ მიიჩნევთ, რომ დებულება მცდარია, მონიშნეთ შესაბამისი უჯრა X ნიშნით და გამოყოფილ არეში ჩაწერეთ სწორი ფორმულირება. დავალების მაქსიმალური ქულაა 1.

შენიშვნა: არ მიიღება პასუხი, თუ მცდარი დებულების შემთხვევაში მტკიცებულების უარყოფითი ფორმა მექანიკურად შეიცვლება დადებითით, და პირიქით. აუცილებელია, მოცემულ განმარტებას შეუსაბამოთ სწორი ტერმინი ან/და სიტყვა ან მოცემული ტერმინის ან/და სიტყვისათვის მოძებნოთ სწორი განმარტება.

მაგალითისათვის, წარმოგიდგენთ ნიმუშებს აპრობაციისათვის განკუთვნილი ტესტიდან:

დავალება 15

ორკესტრს, რომლის შემადგენლობაში შედის 6-8 ვიოლინო, 2-3 ალტი, 2-3 ვიოლონჩელო და ერთი კონტრაბასი, ეწოდება სიმფონიური ორკესტრი.

ჭეშმარიტია ☐ **მცდარია** ☐

ნიმუში 1



განმარტება: აპლიკანტს სწორად აქვს მონიშნული მცდარი დებულების შესაბამისი უჯრა და ჭეშმარიტი ფორმულირებაც სწორად აქვს ჩამოყალიბებული. დავალება შეფასებულია 1 ქულით

ნიმუში 2



განმარტება: აპლიკანტს სწორად აქვს მონიშნული მცდარის შესაბამისი უჯრა, მაგრამ მის მიერ ჩამოყალიბებული ფორმულირება არასრულია - ფორმულირებაში არ არის დაკონკრეტებული, ორკესტრის თუ რომელ ტიპს შეესაბამება დავალებაში მოცემული ჩამონათვალი. დავალება შეფასებულია 0 ქულით.

ნიმუში 3



განმარტება: მოცემულ შემთხვევაში აპლიკანტს სწორად აქვს გაკეთებული აღნიშვნა. დავალებაში მოცემული ფორმულირება მართლაც მცდარია, მაგრამ სწორი ფორმულირება ჩაწერილი არ არის. შესაბამისად, მისი პასუხი შეფასებულია 0 ქულით.

ნიმუში 4



განმარტება: მოცემულ შემთხვევაში აპლიკანტს სწორად არ აქვს გაკეთებული აღნიშვნა. დავალებაში მოცემულია არასწორი ფორმულირება. პასუხი შეფასებულია 0 ქულით.

დავალება 16

ჩინურ ხუთბგერიან მუსიკალურ სისტემას ეწოდება პენტატონიკა.

ჭეშმარიტია ☐ **მცდარია** ☐

ნიმუში 1



განმარტება: აპლიკანტს სწორად აქვს მონიშნული ჭეშმარიტის შესაბამისი უჯრა. დავალება შეფასებულია 1 ქულით.

ნიმუში 2



განმარტება: მოცემულ შემთხვევაში აპლიკანტს არ აქვს სწორად გაკეთებული აღნიშვნა. დავალებაში მოცემული ფორმულირება ჭეშმარიტია. შესაბამისად, მისი პასუხი შეფასებულია 0 ქულით.

V ქრონოლოგიის განსაზღვრა

მოცემული ტესტური დავალება ამოწმებს მასალის ფაქტობრივ ცოდნასა და მისი გამოყენების უნარს. დავალებაში მოცემულია ჩამონათვალი (მუსიკალური მიმდინარეობები, პერიოდები, კომპოზიტორები, მუსიკალური ჟანრები, ნაწარმოებები და სხვ.), რომელიც ქრონოლოგიურად (უძველესიდან უახლესისაკენ) უნდა დაალაგოთ. ქრონოლოგია (უძველესიდან უახლესისაკენ) განსაზღვრულია ცხრილში, ციფრებით 1-დან 4-მდე; პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში, შესაბამისი ციფრის გასწვრივ ჩაწერეთ შერჩეული ერთეულის შესატყვისი ანბანის ასო.

მეტი სიცხადისათვის, წარმოგიდგენთ ნიმუშს აპრობაციისათვის განკუთვნილი ტესტიდან:

ნიმუში 1

დაალაგეთ ჯ.ვერდის ოპერები, მათი შექმნის პერიოდების მიხედვით:

ა) „ტრავიატა“
ბ) „აიდა“
გ) „ნაბუქოდონოსორი“
დ) „ოტელო”

სწორი პასუხი:

1	2	3	4
გ	ა	ბ	დ

VI ღია კითხვა:

ტესტში მოცემულია ღია ტიპის დავალება - **მუსიკალური ნაწარმოების ანალიზი.** ამ ტიპის დავალებას არა აქვს ერთადერთი სწორი პასუხი (გარდა **მუსიკალური ნაწარმოების ანალიზის** მე-2 და მე-4 ქვესაკითხებისა), ამიტომ პროფესიულ ცოდნასთან ერთად, შეფასდება აპლიკანტის მიერ საკითხის ინდივიდუალური გააზრების, ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი. ღია დავალებებისათვის შემუშავებულია შეფასების სქემა.

გთავაზობთ ღია დავალებების აღწერას, პასუხების ნიმუშებს, განმარტებებითა და რეკომენდაციებით.

მუსიკალური ნაწარმოების ანალიზი მოცემულია **I მოსმენის დავალებებში.**

დავალება ამოწმებს პედაგოგის უნარს, ჩაწვდეს მუსიკალური ნაწარმოების მხატვრულ შინაარსს, გაანალიზოს მუსიკალური ფორმა და მუსიკალური ენის ელემენტები, როგორც მხატვრულ-ემოციურ სახეთა გამოსახვის საშუალება და ეპოქის მახასიათებლები, გაიაზროს თხზულებისა და მისი ავტორის ადგილი ისტორიულსა და კულტურულ კონტექსტში.

დავალების აღწერა: აუდიო ჩანაწერში ისმენთ მუსიკალურ ნაწარმოებს ან მის ფრაგმენტს. ჩანაწერს მოისმენთ სამჯერ; ყოველ მომდევნო მოსმენას შორის ინტერვალია 2 წუთი. დავალებისათვის განკუთვნილი ჩანაწერის მოსმენამდე გეძლევათ 30 წამი, რათა გადახედოთ დავალების კითხვებს.

ტესტში მოცემულია გასაანალიზებელი ნაწარმოების სანოტო ჩანაწერიც, რაც ამოწმებს ნაწარმოების ან მუსიკალური ენის ელემენტების ამოცნობა-წაკითხვის უნარს სანოტო ჩანაწერის საფუძველზე. ანალიზი ხდება კომპლექსურად - ნაწარმოების მოსმენითა და მისი სანოტო ჩანაწერით.

დავალება ითვალისწინებს მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების ან მისი ფრაგმენტის გაანალიზებას მოცემული საკითხების მიხედვით :

1. განსაზღვრეთ ნაწარმოების ჟანრი და დაასაბუთეთ თქვენი აზრი;
2. დაადგინეთ

   ა) ნაწარმოების ან მისი ფრაგმენტის ფორმა (ფრაგმენტის მოცულობა მითითებული იქნება ტესტში);

   ბ) ნაწარმოების ფორმის ან მისი ფრაგმენტის საწყისი და ბოლო ტონალობები;

გ) ტესტში მითითებულ საკადანსო ბრუნვაში შემავალი აკორდების ჰარმონიული ფუნქციები (T, S, D);

3. დაახასიათეთ მუსიკალური პიესის მხატვრულ-ემოციური მხარე; გაანალიზეთ და მოკლედ ჩამოაყალიბეთ, მუსიკალური გამომსახველობის რომელი ხერხები, მუსიკალური ენის რომელი ელემენტებია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პიესის მხატვრული შინაარსის შესაქმნელად;

4. მხატვრულ-სტილური მახასიათებლების საფუძველზე, დაადგინეთ, ნაწარმოების შექმნის ეპოქა, მიმდინარეობა და ავტორი;

5. განიხილეთ კომპოზიტორი და ნაწარმოები ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში.

(ქვესაკითხების თანამიმდევრობა ტესტში, შეიძლება, შეიცვალოს).

დავალება ფასდება 15 ქულით. თითოეულ ქვესაკითხს ენიჭება 3 ქულა. **რეკომენდაცია დავალების შესრულების ტექნიკური მხარისათვის: პასუხები დაწერეთ დავალების კითხვების ნუმერაციის შესატყვისად, რადგან ქულები იწერება ყოველი კონკრეტული პასუხისათვის და მხოლოდ შემდეგ ჯამდება.**

რეკომენდაცია დავალების შინაარსობრივი მხარისათვის:

(ნიმუშის ჩანაწერი მუსიკალური ნაწარმოების ანალიზისათვის მოცემულია საგამოცდო კრებულის აუდიოფაილში)

1) მოცემული ნაწარმოების ჟანრის განსაზღვრისას არ არის საკმარისი მხოლოდ იმის აღნიშვნა, ინსტრუმენტული თუ ვოკალური შესრულებისათვის არის ნაწარმოები განკუთვნილი. მაგ. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში - ფ.შოპენის „რევოლუციური ეტიუდი“ op.10 №12 c-moll - არ არის საკმარისი იმის მითითება, რომ გასაანალიზებელი ნაწარმოები ინსტრუმენტული ან კერძოდ, საფორტეპიანო ჟანრისაა. დავალების მოცემულობა მოითხოვს ჟანრის მაქსიმალურ დაკონკრეტებას - აღნიშვნას, რომ მოსმენილი ნაწარმოები „ეტიუდია“; სხვა შემთხვევაში კი - ოპერა, მიუზიკლი, სიმფონია, უვერტიურა, საფორტეპიანო თუ სავიოლინო კონცერტი, სიმებიანი თუ საფორტეპიანო კვარტეტი, სიმღერა თუ რომანსი, ფანტაზია, რაფსოდია, მაზურეკი თუ ვალსი და ა.შ. - რომელ კონკრეტულ ჟანრს მიეკუთვნება გასაანალიზებელი ნაწარმოები.

ჟანრის განსაზღვრის შემდეგ, ასაბუთებთ თქვენ აზრს - რა ნიშნებით გამოარჩიეთ ჟანრი. შოპენის ეტიუდის შემთხვევაში, - სწრაფი ტემპი, ვირტუოზულობა, გარკვეული ტექნიკური ამოცანა მარცხენა ხელის პარტიაში და ა.შ. - შესაძლებელი არგუმენტებია ეტიუდის ჟანრზე საუბრისათვის.

2) ეს საკითხი სამ პუნქტად იყოფა და თითოეული კონკრეტულ პასუხს ითხოვს (ნიმუში იხილეთ ქვემოთ).

ა) აპლიკანტი ადგენს ნაწარმოების ან მისი ფრაგმენტის მუსიკალურ ფორმას (ტესტში ზუსტად არის მითითებული გასაანალიზებელი მონაკვეთი) - მოცემულ შემთხვევაში - **პერიოდის ფორმა.**

ბ) ტონალობა მუსიკის გამომსახველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. მოცემული ფრაგმენტის **საწყისი ტონალობა - c-moll; დამასრულებელი ტონალობა - B-dur.**

გ) კადანსები ნაწარმოების ფორმის შემადგენელ ნაწილებს გამოარჩევს და მუსიკალური მეტყველების მნიშვნელოვანი ელემენტებია. პერიოდის **პირველი წინადადების საკადანსო ბრუნვაში შემავალი ბოლო აკორდის ფუნქციაა - D, დამასრულებლის - T.**

3) დაახასიათეთ მოსმენილი ნაწარმოების მხატვრულ-ემოციური სახეები, ძირითადი იმპულსი, განწყობა, ხასიათი, როგორც მას აღიქვამთ და აღუწერდით მოსწავლეს. გაანალიზეთ, რა არის წამყვანი მის ხასიათში - ლირიკა, დრამა, ტრაგედია, სილაღე, გროტესკი თუ სხვა. დახასიათების სიზუსტისათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ასოციაციური აზროვნება ან ინტეგრირება სხვა სასწავლო საგნებთან. შეუსატყვისეთ თქვენი აღწერა მუსიკალური ენის ელემენტებს (მელოდია, ტემპი, ტემბრი, ჰარმონია, რეგისტრი, რიტმი, ფაქტურა და სხვა), რომელსაც იყენებს კომპოზიტორი თავისი ჩანაფიქრის გადმოსაცემად ნაწარმოებში. ანალიზისას შეფასდება აგრეთვე მუსიკალური ტერმინებისა და ცნებების ადეკვატური გამოყენება.

მოცემულ შემთხვევაში, ფ.შოპენის „რევოლუციურ ეტიუდთან“ დაკავშირებით, მართებულია, აღინიშნოს მისი დრამატული ხასიათი, ფეთქებადი განწყობა, გადმოცემის სიმძაფრე და ა.შ., ხოლო ამ ხასიათის გამოსახატად, მუსიკალური ელემენტებიდან სწრაფი ცეცხლოვანი ტემპის Allegro con fuoco აღნიშვნა; მარცხენა ხელის მღელვარე ტალღოვანი ფიგურაციების ფონზე პათეტიკური რეჩიტატიული შეძახილები ოქტავებით და პუნქტირული რიტმით; კონტრასტული დინამიკა, pp - ს და f - ს ხშირი და სწრაფი მონაცვლეობით და სხვა.

4) ნაწარმოების მახასიათებლების გაანალიზების (ან ცოდნის) საფუძველზე თქვენ უნდა დაასახელოთ ნაწარმოების შექმნის დრო, მიმდინარეობა ან/და სტილი და კომპოზიტორი. ამ შემთხვევაში: **XIX საუკუნე, რომანტიზმი, ფრედერიკ შოპენი.**

5) ანალიზის ბოლო საკითხი ითხოვს, რომ აღინიშნოს ის უნიკალური ადგილი, რომელიც მოცემულ თხზულებას უკავია ამავე ჟანრისა და ეპოქის, აგრეთვე

საერთო კულტურულ კონტექსტში; რა ისტორიული მნიშვნელობა აქვს მის შექმნას და რითი გამოირჩევა კომპოზიტორის სხვა თხზულებათა შორის; მოკლედ აღინიშნოს კომპოზიტორის წვლილიც მისი ეპოქისათვის და მისი შემოქმედებისათვის მნიშვნელოვანი კავშირები, თანამედროვე თუ სხვა ეპოქის კომპოზიტორებთან.

მაგ. მოცემული ნაწარმოების ანალიზისათვის, შეიძლება საუბარი ეტიუდის ჟანრის განსაკუთრებულობაზე შოპენის შემოქმედებაში, რადგან იგი ქმნის ეტიუდს - არა მარტო როგორც სავარჯიშოს, არამედ როგორც მაღალმხატვრულ, თვითკმარ ქმნილებას, დატვირთულს ემოციურად; op.10 №12 „რევოლუციური ეტიუდი“, თავის მხრივ, საინტერესოა ისტორიული თვალსაზრისით, რადგან შეიქმნა როგორც რეაქცია პოლონეთის განმათავისუფლებელ ბრძოლაზე. თავად შოპენის როლი რომანტიკულ მუსიკაში კი უნიკალურია ემოციური სამყაროს, ახალი ჟანრების თუ გამომსახველობის ხერხების მხრივ (საფორტეპიანო მინიატურის მრავალრიცხოვანი ჟანრი და ახლებური გააზრება, პრელუდიისა და სკერცოს, როგორც დამოუკიდებელი ჟანრების პირველი ნიმუშები, ბალადის, როგორც ახალი მუსიკალური ჟანრის შექმნა, საცეკვაო ჟანრის მაღალი მხატვრული დონე, ბრწყინვალე რომანტიკული პიანიზმის ახალი გამომსახველი ხერხები და ა.შ.).

შეფასება მუსიკალური ნაწარმოების ანალიზისათვის **მაქსიმალური ქულა ყველა პუნქტისათვის არის 3 ქულა**	
3	**პასუხი არის სწორი და დასაბუთებული რამოდენიმე არგუმენტით.**
2	**პასუხი არის სწორი, მაგრამ ზოგადი, სქემატური და არასაკმარისად არგუმენტირებული**
1	**პასუხში ნაწილობრივ ჩანს საკითხის არსი, მაგრამ მსჯელობა არ არის არგუმენტირებული**
0	**დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული; პასუხში მეორდება პირობაში მოცემული ინფორმაცია; ან მოყვანილია არგუმენტები, რომელიც მოცემულ საკითხს არ უკავშირდება**

ნიმუში - დავალება 10 (მუსიკალური ფრაგმენტის ჩანაწერი მოცემულია საგამოცდო კრებულის აუდიოფაილში).



10 დავალება 6

6.1

6.2

6.3

6.4

6.5

A

განმარტება: აპლიკანტის მიერ შესრულებული დავალება აკმაყოფილებს ყველა საკითხს და შეფასებულია მაქსიმალური ქულით.

ზოგადი რეკომენდაციები ტესტისათვის:

თქვენ გაეცანით ტესტის სტრუქტურას. როგორც ხედავთ, ტესტი შედგება სხვადასხვა ტიპის კითხვებისაგან, ტესტზე მუშაობისას, პირველ რიგში, ყურადღებით გაეცანით თითოეული დავალების შესრულების ინსტრუქციას და შემდეგ, თავად დავალების პირობას.

დავალება შეასრულეთ თავდაპირველად შავი სამუშაოსათვის განკუთვნილ ფურცელზე; **პასუხის საბოლოო ვარიანტი აუცილებლად გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე; სწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი.**

არსად არ მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი. ასეთი ნაწერი არ გასწორდება.

გისურვებთ წარმატებას!